ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი № 11

ქ. ლანჩხუთი **9.12.2022**
11:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ზაზა წულაძე.**

კომისიის წევრები: გიორგი იმნაიშვილი, ალექსანდრე მახათაძე, გოჩა ჯანაშია, ვლადიმერ ნანაძე.

მოწვეული: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი ირაკლი ხუხუნაიშვილი, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი თამარ ფირცხალაიშვილი.

კომისიის სხდომას არ ესწრებოდა დეპუტატები: გიორგი ჩახვაძე, კარლო კვიტაიშვილი, გივი ცინცაძე, კახაბერ ასკურავა.

სხდომის დაწყებამდე კომისიის წევრებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს უკრაინაში დაღუპული ლანჩხუთელი მებრძოლის ჯამბულათ ხოფერიას ხსოვნას.

კომისიის თავმჯდომარემ, ზაზა წულაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1.ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმის პროექტის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: ზაზა წულაძე/

2.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მიერ 2022 წლის გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენა.

/მომხსენებელი: ზაზა წულაძე/

3.სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარემ, ზაზა წულაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:
მომხრე: 5; წინააღმდეგი: არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმის პროექტი კომისიას გააცნო სხდომის თავმჯდომარემ, ზაზა წულაძემ.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:
წარმოდგენილი გეგმის პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
სხდომის თავმჯდომარემ **ზაზა წულაძემ** კენჭი უყარა წარმოდგენილ გეგმის პროექტს.
მომხრე 5; წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მიერ 2022 წლის გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში კომისიას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა ირაკლი ხუხუნაიშვილმა. მან აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს ღია აუქციონის წესით პრივატიზებული იქნა 4 (ოთხი) ერთეული ქონება, რაზედაც ელექტრონული აუქციონი იყო გამოცხადებული. მუნიციპალური ქონების პრივატიზებიდან 2022 წელს ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსულია 78 216 ლარი. მიმდინარე წელს მუნიციპალურ ქონებაზე გაფორმებული იქნა 3 (სამი) საიჯარო ხელშეკრულება. 2022 წელს სსიპ ,,სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო-ს“ მიერ მოთხოვნილი იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ამბულატორიების სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემა, რათა შემდგომ მომხდარიყო ამ ამბულატორიების ა(ა)იპ ,,საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგის“-თვის გადაცემა სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად, სადაც მოხდება ,,სოფლის ექიმის“ კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურეობის განხორციელება. მისი თქმით, სამსახურის მიერ მომზადებული იქნა დოკუმენტაცია და მოთხოვნის შესაბამისად სახელმწიფოს გადაეცა მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული 12 (თორმეტი) ერთეული უძრავი ქონება. სისტემატიურად მიმდინარეობს მუნიციპალური ქონების სარგებლობის უფლების (უზუფრუქტის) ფორმით გაცემის შესახებ წინადადებების განხილვა და შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმება. 2022 წელს 5 (ხუთი) ერთეულ მუნიციპალურ უძრავ ქონებაზე გაფორმდა სარგებლობის ხელშეკრულებები. ასევე სამსახურის მიერ მიმდინარე წელს გაკეთებულ იქნა 60 საკადასტრო და შიდა აზომვითი ნახაზი, აგრეთვე სსიპ ,,ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მიერ მომზადდა 20 აუდიტორული დასკვნა. 2022 წელს მუნიციპალურ საკუთრებად დარეგისტრირდა 25 ერთეული მოძრავი და უძრავი ქონება. 2022 წელს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მგლის რაოდენობის რეგულირების ღონისძიებების განხორციელების შესახებ უფლებამოსილების დელეგირების თაობაზე მომზადდა და გაფორმდა ხელშეკრულება მონადირეთა ჯგუფებთან.
მან ასევე აღნიშნა, რომ 2022 წელს სამსახურის მიერ მიმდინარეობდა საგაზაფხულო ხვნა-თესვის მონიტორინგი. 2020-2022 წლებში საპილოტე ,,რეგიონების ინტეგრირებული პროგრამის“ ფარგლებში, სოფელ ჩიბათში მომზადდა კოლხეთის ეროვნულ პარკთან მისასვლელი 9,923-კმ სიგრძის გზის რეაბილიტაციის, საპიკნიკე, საპარკინგე და სველი წერტილების, აგრეთვე ადგილობრივი ნაწარმის რეალიზებისათვის ღია ტიპის დახლ-მაგიდების მოწყობის სრული საპროექტო განაცხადი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მიერ 2022 წლის გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში მოსმენილი იქნა კომისიის წევრების მიერ.

სხვადასხვა.

ვლადიმერ ნანაძემ აღნიშნა, რომ პროფესიული სასწავლებლის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებულია ძველი, მწყობრიდან გამოსული ურნები და აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს აღნიშნული ტერიტორიის მოწესრიგება, რაზეც ირაკლი ხუხუნაიშვილმა განმარტა, რომ ყოველ წელს საჭიროა ჩატარდეს ინვენტარიზაცია და სპეციალური კომისიის მიერ მოხდეს ძველი ინვენტარის ჩამოწერა.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის,
ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: ზაზა წულაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომის დასკვნა №11

9.12.2022 წელი
11.00 საათი

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 9 დეკემბერს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1.ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმის პროექტის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: ზაზა წულაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მიერ 2022 წლის გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენა.

/მომხსენებელი: ზაზა წულაძე/

დღის წესრიგის პირველი საკითხი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმის პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
მომხრე 5, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მიერ 2022 წლის გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში მოსმენილი იქნა კომისიის წევრების მიერ.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: **ზაზა წულაძე**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

9.12. 2022 წელი
11:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ზაზა წულაძე	10 50	
2	ალექსანდრე მახათაძე	10 55	
3	კარლო კვიტაიშვილი	არ ესწრებოდა	
4	გიორგი იმნაიშვილი	10 57	
5	ვლადიმერ ნანაძე	10 55	
6	გიორგი ჩახვაძე	არ ესწრებოდა	
7	გივი ცინცაძე	არ ესწრებოდა	
8	კახაბერ ასკურავა	არ ესწრებოდა	
9	გოჩა ჯანაშია	10 50	